ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/17

დაბა ქედა, **4 ნოემბერი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 15:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/17 ბიუროს სხდომა

4 ნოემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დღის წერიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა, რომ 2022 წლის 4 ნოემბერს (ბიუროს სხდომის ჩანიშვნის შემდეგ) ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოვიდა წერილი - „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე (წერილის ნომერი: 12-95223086-95, 04.11.2022 წელი), ვინაიდანაც აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება იყო დასაწყები, ითხოვა საკითხი დამატებულიყო ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტში და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბერის №01-07/17 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად წარმოადგინა შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ;
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ;
3. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ნოემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განახლებული სახით წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბერის №01-07/17 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ საკითხი და განუმარტა, რომ შემოსულია

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა (წერილის ნომერი: დ95.95223081, 04.11.2022 წელი), რომელსაც თან ერთვის ამავე კომისიის №6 სხდომის ოქმი. აღნიშნული კომისიის მიერ განხილულ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის ლევან ვერძაძის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საკრებულოს წევრების, ოთარ ხარაძისა და მზია ბოლქვაძის მიერ ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს დატოვებას. კომისიის განმარტებით, ამჟამად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართულ ოცნება“ წარმოდგენილია 13 წევრით, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 4 წევრით, ხოლო საკრებულოს 4 წევრი კი არის უფრაქციო. აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ დაასკვნა: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები განისაზღვროს არაუმეტეს 10 წევრით, მათ შორის ფრაქცია „ქართულ ოცნება“-ს - 6 წევრი, ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“-ს - 2 წევრი და საკრებულოს უფრაქციო წევრებსაც - 2 წევრი. აღნიშნული გადაწყვეტილება, კანონმდებლობის შესაბამისად, წარედგინება საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის განახლების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების პროექტი ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია შემდეგი სახით:

№	კომისიის დასახელება	კომისიაში წევრთა რაოდენობა	ფრაქცია "ქართული ოცნება"	ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უფრაქციო
1	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	10	6	2	2
2	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	10	6	2	2
3	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	10	6	2	2
4	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია	10	6	2	2
5	სოციალურ საკითხთა კომისია	10	6	2	2

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხს დასამტკიცებლად კენჭი უყარა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცებულ იქნას საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის განახლების შესახებ წარმოდგენილი პროექტი.
(საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება №1, გ95.9522308001, 04.11.2022 წელი).

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ 2022 წლის 4 ნოემბრის №6 კომისიის სხდომაზე განიხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფრაქციო წევრების ოთარ ხარაძისა და მზია ბოლქვაძის განცხადებები საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების შესახებ.

მომხსენებელმა აქვე განმარტა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადებები შესაბამის კომისიებში გაწევრიანების შესახებ არ ეწინააღმდეგება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 4 ნოემბრის №1 გადაწყვეტილებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ დაადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1) ლევან ვერძაძე;
2) არჩილ გორგილაძე;
3) მარინა ბარამიძე;
4) მერაბ ნაკაშიძე;
5) ჯემალ დავითაძე;
6) შორენა კარანაძე;
7) მინდია არძენაძე;
8) ოთარ ხარაძე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა:

1) ლევან ბერიძე;

2) რომან დავითაძე;
3) ვაჟა აბულაძე;
4) არჩილ გორგილაძე;
5) ჯიმშერ სამნიძე;
6) მინდია არძენაძე;
7) ირაკლი მახარაძე;
8) გოჩა ჟღენტი;
9) მზია ბოლქვაძე.

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობა:
1) მერაბ ნაკაშიძე;
2) ჯიმშერ სამნიძე;
3) მამუკა გოგოლიშვილი;
4) ამირან ცინცაძე;
5) ამირან წულუკიძე;
6) გოჩა გორგილაძე;
7) დავით სირაბიძე ;
8) გოჩა ჟღენტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის შემადგენლობა:
1) ამირან წულუკიძე;
2) რეზო თურმანიძე;
3) ამირან ცინცაძე;
4) რომან დავითაძე;
5) ლევან ბერიძე;
6) ოთარ ხარაძე;
7) ირაკლი მახარაძე.

საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
1) ვაჟა აბულაძე;
2) მარინა ბარამიძე;
3) მამუკა გოგოლიშვილი;
4) გოჩა გორგილაძე;
5) რეზო თურმანიძე;
6) ლევან ვერძაძე;
7) დავით სირაბიძე;
8) შორენა კარანაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების განსაზღვრის შესახებ ცნობად მიიღო.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა პირადი განცხადების (წერილის ნომერი:95-95223075,

03.11.2022 წელი) საფუძველზე დატოვა. ამიტომ კანონმდებლობის შესაბამისად, მიზანშეწონილია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხორციელდეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

3.მოისმინეს:„„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი:12-95223012-95, 28.10.2022 წელი) საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ განცხადება გააკეთა, რომ ვინაიდანაც საკრებულოს მე-18 რიგგარეშე სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება, სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს სთხოვა აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად, ქედის მუნიციპალიტეტის მერი, როლანდ ბერიძე ყოფილიყო. რადგან მას, როგორც ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წარმომადგენელს ბევრი კითხვა ჰქონდა, რომელიც სურდა უშუალოდ მერისგან მიეღო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დავით სირაბიძეს უპასუხა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ მოხერხდეს სხდომაზე მისი დასწრება, რადგან ბოლო პერიოდში უხვ ნალექთან დაკავშირებით მეწყერული პროცესები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში, აქედან გამომდინარე მერს ხშირ შემთხვევაში გასვლა უწევს სოფლებში. თუმცა დავით სირაბიძეს ამირან ცინცაძემ მაინც დაჰპირდა, რომ მერს ამცნობდა აღნიშნულს და თუ შესაძლებელი იქნებოდა როლანდ ბერიძე დაესწრებოდა სხდომას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

4.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი:12-95223086-95, 04.11.2022 წელი) საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე.

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა;

2. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე